№ 802 პარასკევი, 23 აპრილი. 1896—1899 პარასკევი, 23 აპრილი. № 802

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა
...ის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
...დ მიმართავენ რედაქციის დილის
...-3 საათამდე და საღამოს 6—7
„წ. კ. საზ." წიგნის მაღაზია.
...დ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.
...ის-პირ მოლაპარაკება რედაქ-
...ორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 4 მან. და 50 კ.,

თავ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილების
ღვინის საწყობი

„იყალთო"


...ელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახლი ანტონოვისა № 19.
ამით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ამ დღეებში მივიღეთ:
ხორხელ-ჯანაანიდან სიკო აბელაშვილის ღვინოები. ამასთა
მივიღეთ:
იყალთოდან, რუისპირიდან და ახმეტიდან.
მსყიდველებს დაეთმობათ შემდეგ დაკლებულ ფასებში.

ვინც ათს ბოთლს ერთად იყიდის

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ...კაპ. ...ეთმო-ბით | 25 კაპ. დაეთმო-ბით | 30 კაპ. დაეთმო-ბით | 40 კაპ. დაეთმო-ბით | 50 კ. დაეთ-მობათ | 60 კ. დაეთ-მობათ | 80 კ. დაეთ-მობათ | 1 მან. დაეთ-მობათ |
| 80 კ. | 2 მ. 20 კ. | 2 მ 50 კ. | 3 მ. 30 კ. | 4 მან. | 5 მან. | 6 მ. 50 კ. | 7 მ. 50 კ. |

ამას თანავე ქართველ საზოგადოებისთვის შემოვიღეთ გაუწურავი ღვი-
...ოდგა. იმედი გვაქვს ჩვენის ღვინოებით საზოგადოება კმაყოფილი დარჩეს.
—4) პატივისცემით თავ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილები.

!!მიაქციეთ ყურადღება!!
გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლებში
ამ ცოტა ხანში გაიხსნება
...ჩინეთის მაღაზია
ვინც ჩაის იყიდის იმას ნობათად მიეცემა რაიმე ნივთი. ვინც
...ღის 12 მან. ჩაის თუნდაც სხვა და სხვა დროს, 2 მან. იმას
...უქრად მიეცემა ჩაის ყოველივე მოწყობილობა. (100—11)

ვ. გუნიას სტამბა
საოლდვომოდ
ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარა-
თებს და სხვა.
ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია.

ექიმი
ქ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დი-
ლის 11—12-მდე და საღამოს 7—
8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. კ. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ.
მარშამსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საქიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თო-
ფურია
Лѣчебница В. С. Топуріа въ Кутаисѣ

# ახალი ამბავი

*** მთავარი ინსპექტორის ბ-ნი ვორჩაკოვის მიერ დათვალიერება რკინის გზებისა დაიწყება ამ თვის 24-დან და მას შემდეგ იგი დაათვალიერებს ბაკურიანის რკინის გზას.

*** ზემო ავჭალის სამრევლო სამზრუნველოს თურმე აზრად აქვს, რადგან ზემო ავჭალაში ეკკლესია საშიშარ მდგომარეობაშია, ახალი ეკკლესია ააგონ, რისთვისაც ხელის მოწერით ფულს აგროვებენ.

*** გორის მემამულეთა კრება, რომელიც დღეისათვის უნდა მომხდარიყო, გადაუდვიათ დამდეგის მაისისათვის, სწორედ იმ დღისათვის, როდესაც წლიური კრება იქნება სათავად-აზნაურო ბანკისა.

*** საინტერესო გამოცემა. საეკკლესიო მუზეუმის გამგეობას განუზრახავს გამოსცეს ხოლმე დროგამოშვებით წიგნები, შესახებ ქართული ეკკლესიის ისტორიისა და სხვა.

*** ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორის მველი საქმეების გამოკვლევა მიუნდვიათ კომისიისათვის, რომელიც იქნება ყოვლად-სამღვდელო კირიონის თავმჯდომარეობით, წევრებად კი დანიშნულები არიან ან. ნატროშვილი და ილ. ფერაძე.

*** საოლქო სასამართლოს განყოფილება გორში. ამ თვის 26-დან გაემგზავრებ ქ. გორში საოლქო სასამართლოს განყოფილება. თავმჯდომარედ იქნება ბოგაევსკი, წევრი პადალკო და პროკურორი ჯალალოვი.

*** ავადმყოფობა ტფილისში. როგორც ოფიციალურის ცნობებიდანა სჩანს ტფილისში ერთის კვირის განმავლობაში ესე იგი 16—22-მდე ავად გამხდარან გადამდები სენით 32 კაცი; მათ შორის სახადით 12 კაცი, წითელით 17 კაცი, ხუნაგით 1 და ყელჭირვებით 2.

*** არჩევნები ქუთაისის ბანკში. ბანკის წესდების მე-89 §-ის ძალით, წლიური მორიგი კრება ამ ბანკის რწმუნებულთა დანიშნულია 1899 წლის ოცდა თერთმეტ (31) მაისისათვის. კრება მოხდება ქუთაისში, ბანკის გამგეობის სადგომში, შუადღის 12 საათზედ. კრება კანონიერად იქნება ჩათვლილი, რამდენი რწმუნებულიც უნდა გამოცხადდეს.

განსახილველია შემდეგი საგნები:

განხილვა და დამტკიცება ბანკის 1894—1898 წლების მოქმედების ანგარიშებისა.

დამტკიცება 1899 წლის ხარჯთაღრიცხვისა.

საზოგადო საჭიროებისათვის გადადებულ თანხის განაწილება.

ბანკის წესდების ზოგიერთის §§ შეცვლა და შევსება.

შეცვლა და შევსება დამფასებელთა ინსტრუქციისა.

გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის იმ წევრების არჩევანები, რომელთაც სამსახურის ვადა გასდით.

*** ანგარიშის გამოცხადება. წერა-კითხვის გამვრცელებელის საზოგადოების გამგეობამ მიიღო თავის აგენტის ექიმის ლუკა ჯავახიშვილისაგან შვიდი თუმანი, რომელიც ყოფილა წმინდა შემოსავალი მის თაოსნობით 28 მარტს გამართულის წარმოდგენისა სოფ. თიანეთში. როგორც სჩანს ბ-ნის ჯავახიშვილისაგან წარმოდგენილის ანგარიშიდგან, ერთიანი შემოსავალი ყოფილა 91 მან. 21 კ, (აქედგან 52 მ. 47 კ. ბილეთების ფასი, 18 მ. 10 კ. საპატიო ბილეთებისა და 20 მ. 64 კ. კერძო შემოწირულობა.) გასავალი 21 მ. 21 კ. წმინდა შემოსავალი 70 მ.

საზოგადოების გამგეობა თავის მოვალეობადა სთვლის გამოუცხადოს ულრმესი მადლობა როგორც წარმოდგენის გამგეს ბ-ნს ლუკა ჯავახიშვილის, ისე წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებთ: ქ-ნ თ. ა. ბოდოევისას, ე. გიორგიევისას, გოცირიძისას და ელ. ჯავახიშვილისას და ბ-ნთ ვ. ლაზარევს, ს. პაპოვს, ჩიბადაშვილს და თ. ი. ჯანდიერს.

*** სად მიდიან ქართველი მუშები? მიზეზების სხვა-და-სხვაობა ქართველ მუშების გროვას ანაწილებს და გზავნის აქა-იქ. ეს დანაწილება შემდეგია:

1) გლეხობა, რომელიც არ იზარებს და არ ირცხვენს მუშაობას, არ თაკილობს. ამ სახის ჯგუფი მაინც და მაინც არ მიდის შორს თავის კუთხიდან, საქართველოს საზღვარს არ შორდება. მართალია თავის მაზრას, გუბერნიასაც გადააბიჯებს, მაგრამ ისევ ამიერ კავკასიის ქალაქ-დაბა-სოფლებში მუშაობს. ამ პაწია რაიონშიც პოულობენ შედარებით საკმაო სამუშაოს; მუშაობის ერთი თუ მეორე სახე ან პირობები არ აფიქრებენ—ოღონდ ფული იშოვნონ და სახლ-ოჯახში აღმოცენებული მოთხოვნილებანი ცოტად თუ მეტად დააკმაყოფილონ. ერთი მიმართულების გლეხები უფრო შავ მუშაობას ჰკიდებენ ხელს და ბინას იჩენენ ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, ტფილისში და სხვ დაბა ქალაქებში (რასაკვირველია ჩვენში). ამათ ჩვენ ქვეყანაში ვხედავთ და შეძლება გვაქვს გავეცნოთ, თვალი ვადევნოთ მათ ყოფა ცხოვრებას, მდგომარეობას.

2) მეორე კატეგორიაში უფრო ამპარტავანი ახალგაზდა თუ მოხუცებული გლეხები და აზნაურები არიან. ქართველ კაცს საზოგადოდ თუ ძალიან არ გაუჭირდა——მუშაობას არ მოჰკიდებს ხელს, თითქმის სამარცხვინოდ მიაჩნია. ასეთი ვაჟბატონები უფრო ახალგაზდა თავ-მომწონე გლეხები და განსაკუთრებით—აზნაურები არიან პირველნი, ესე იგი გლეხები (თავმომწონენი) თუ თაკილობენ თავის კუთხეში მუშაობას, ისიც შავ მუშაობას, აზნაურებზე რაღა ითქმის! უკანასკნელთ ხომ უფრო სამარცხვინოდ მიაჩნიათ თავის სახლის ახლოს გლეხებთან (ე. ი. უბრალო მუშებთან) მუშაობა. ასეთი ჯურის ვაჟბატონები იძულებულნი არიან ხშირად სამშობლო ქვეყნის გარედ წავიდნენ. იქ ტალახის ზიდვასაც მოჰკიდებენ ხელს, ოღონდ მეზობელმა და ნაცნობმა არ დაინახოს. ესენი მიდიან ჩვენი ქვეყნიდან და მუშაობენ განსაკუთრებით რუსეთში, ბათუმს რომ თავი დავანებოთ და ნოვოროსიიდან დავიწყოთ—ოდესსამდის თითქმის ყველა ნავთ-სადგურიან ქალაქებში შეხვდებით ქართველ მუშებს. თითო ქალაქში ჩვენებურ მუშათა რიცხვი არა 100 ნაკლებია, ოდესაში 400-ამდის აღის. გაჩერდება თუ არა ხომალდი საკმაოა გახვიდეთ ნავთსადგურზე, გაისეირნ-გამოისეირნოთ, რომ დაინახოთ ქართველ მუშათა გროვა. საკმაოა ამ მუშებს დააკვირდეთ, დარჩეთ იმათთან ცოტახანს, უცქიროთ იმათ ქცევას, საკმაოა ორიოდე წუთი შესწიროთ და მიხვდებით, რომ ყველა ქართველ მგზავრს ერთგვარად არ ეგებებიან. თუ ნაცნობ მგზავრს მოჰკრეს სადმე თვალი—უთუოდ ჩაბალახს ან თავსაფარს ჩამოიფარებენ პირზე და ისე ეზიდებიან ხომალდზე თუ ხომალდიდან ხიბაკებს. უკანასკნელი გარემოების მოწმე ჩვენ არა ერთხელ ვყოფილვართ. დარწმუნებული ვარ, რომ სხვებიც გამოცდიდენ ამას, თუ შავის ზღვის პირად უმგზავრიათ. რცხვენიათ! დიახ, ბატონებო, რცხვენიათ და თვალს გვაშორებენ! მაგრამ ყოველთვის აგრეარ იქნება, ერთხელაც მიხვდებიან რომ მუშაობა რასახისაც უნდა იყოს იგი არავის ჩირქს არ ცხებს და არ უფუჭებს სახელს. თუ რომელიმე სამუშაოს ვკიდებთ ხელს გაჭირვების დროს, სჩანს სხვა სალსარი, ძალა არა გვაქვს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაშ, ვისი გვრცხვენია?! აქ აღსანიშნავია მხოლოდ ის ფაქტი, რომ სახლში მუშაობის თაკილობა ბევრს აიძულებს რუსეთში წასვლას და იქ შრომას.

*** ს. უდე (ახალციხის მაზრა) მდებარეობა და გარემოება. ეს სოფელი მდებარეობს ახალციხის დასავლეთის მხარეს მოშორებით 18—20 ვერსისა, სდგას მაღლობზე, სამხრეთით აკრავს დიდი გვერდობი და ჩრდილოეთის მხრივ შუშანქალადან ანუ სარაიადგან, რომ გადახედო მდაბლობზე ზაფხულში და მეტადრე გაზაფხულობით მწვანე მობიბინე მინდორი და თეთრად აყვავებული ბაღები გეკონებათ სამოთხეს, რომ იტყვიან ეს არისო. სოფელში სამ ადგილს წმინდა ანკარა ტკბილი წყარო არის და მოდის ორი-სამი ვერსის მანძილიდგან თიხის სოლინარებითა. ამ სოფელს ისტორიულ მსვლელობაში ბევრი რამ გამოუვლია, დასავლეთით დანგრეული ციხე და შიგ სოფელში, როცა საბძელი ან სხვა რამ შენობა უნდა ამოსჭრან, მაშინ ქვევრისა, თორნისა და სხვა თიხის ჭურჭლეულების ნამტვრევები, ნახშირი და ნაცარი ამოდის, კიდევ შიგ გვერდები გარდი-გარდმო მისდევენ, როგორც ეტყობა სხვა და სხვა დროს ნაშენები ყოფილა.

— სამკითხველოს საქმე. აგრეთვე არის სამინისტრო ერთკლასიანი სასწავლებელი დაარსებული 1882 წ. და ბიბლიოთეკაც, რომელიც დაგვიარსა წერა-კითხვის საზოგადოებამ. 1897 წ. სამკითხველოს ხელის მომწერი ნაკლები ჰყავს, რადგან გამგეობა რომ გამოუცხადებთ თვიურად ან წლიურად ფულის შემოტანას, ისე მიაჩნიათ როგორც სახაზინო რამ გადასახადი იყოს, და მხოლოდ შემოდგომის ნახევრობიდან მოყოლებული გაზაფხულის ნახევრამდე საზოგადოთ მომეტებული ხალხი იკრიბება ერთ მოზრდილ ოთახში და ერთი მკითხველთაგანი აიღებს წიგნსა ანუ გაზეთსა და ხმა-მაღლივ კითხულობს და დანარჩენი კი სმენულობენ, და ზოგიერთ მსმენელებში ისეთი ნიჭიერი ხალხნი არიან, რომ ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაგონილს ფელეტონებს ერთად შეკრავს და შეუცდომლად სულ იტყვის.

კიდევ გაზაფხულობით წყალდიდობის დროს მოაქვთ ს. ზევნიდან სატივე ხეები და წყლის სიმაგრეებს უშლიან და ამით საწყალ ხალხს ღუპავენ. ამ ჟამად წყლის ყვავილიც დაიარება ყმაწვილებში.

— ქურდობა. ქურდ-ბაცაცებისა რაღა მოგახსენოთ, ამ ორი წლის წინად ზამთარში ერთ საღამოთი ორ-სამ მაჰმადიანს თურმე წყლის პირიდან ერთი დიდი ხე მოეპარათ შეებათ ხუთი ულელი ხარი და როცა ორი ღამის ყარაულები მისულიყვნენ და ეკითხათ, საიდან მოგაქთო? ერთს ეთქვა, რომ ვარხნელმა ჩემმა ნათესავმა მომცაო. ეს ყ
რაულებიც მიეშველნენ და როც
კიდევ ორი სხვა ყარაულები გ
ნდნენ ისინი კი აღარ მოსტყუ
დნენ და შეატყობინეს, გაალვიძ
მამასახლისი მივიდა და სოფლ
ხე სამმართველოსთან მიატან
და ამ ხეს 10—12 ვერშოკი სი
ხო და ხუთ საჟენამდე სიგრძე
ნებოდა. ამასთანავე რაც მთავ
ბამ ყურადღება მიაქცია ავაზა
ბის მოსპობას, ჩვენსკენ ეს ე
ორი წელიწადია ამ მონავა
ვაჟ-ბატონების ხსენებაც საკმა
შესუსტდა.

სინ

*** ქ. გორი. წყალში დამ
ვალი. ნათქვამია: „კაცო ნუ
ვირს სიმდიდრე, სიმდიდრე
მარიაო“, სწორედ არის ნათქვ
დიდი ხანი არ არის მას შე
რაც ერთი მდიდარი კაცი ც
რობს გორში. მას ერთ უბრა
საქმეზე ხელი შეეცარა, ჩარხი
ულმა დაუბრუნდა და სიმდი
ხელიდან გამოეცალა; ამ სა
დამნახველი, პატრონი, ჭკ
შესცდა; პატრონი არავინ არ
აჩნდა, რომ ხელი შეეწყო
პატარა შეღავათი მიეცათ, (
დიდრის დროს დავისი თავი
თონვე მოსწონდა და უკვირდ
უბრალო მუშა კაციდან რო
გამდიდრდა). ერთმა მიკიტანმა
ლაში დააყენა ნაგვების საზი
ლად და მოსავლელად. დ
რამდენიმე ხანი და ცნობის
რგვაც მიემატა. ამ უბედურ
ამ თვის 9-ში მეჯუდის პა
ტოტში დაირჩო. ნაგავი რომ
კონდა, ამ წყალს მიახლოვებუ
ყო, უცბად ცნობის დაკარგვ
სვლოდა წაფარფატებულა
წყალში ჩავარდნილა. ბოქა
მიიყვანეს, წყლიდან გამოათ
ტანისამოსი გახადეს და ფულ
კაპიკი უპოვეს. როგორც იყ
აბარეს შავ მიწას, თხელ ფ
ბით შეკრულ კუბოთი.

# საგულისხმოდ

ლოთობის სამწუხარო შედ

საზოგადოდ ხალხის ლო
თუ რა უბედურება მოსდევს
შესახებ ბევრი რამა თქმულა
წერილა და აი სხვათაშორ
ტათ საყურადღებო ცნობე
პროფესორ სიკორსკის მი
ყვანილი, რომელიც დაბეჭ
გაზეთ „კიევლიანში“ ჟურ
დამ აი ამ სათაურით „Во
нервно-психологической
цины“ მაგრამ სასმელების
ცელების შესახებ სხვა-
ქვეყნებში და მის მავნებ
დამღუპველ საშუალების
ძოლველ ზომების შესახებ

..სიკორსკი ამბობს, რომ—ზევრ..იმ აზრისანიც კი არიანო, რო..ომც მაგარ სასმელეულობის ..მხოლოდ მაშინ არის მავნებე..ადამიანისათვის, როდესაც იგი ..ს გადააჭარბებს და იქამდი ..დათვრება, რომ სიუმგზავსეს ..ენსო, ე. ი. თავის მხეცური ..ცეილით რაიმე შეურაცყოფას ..ენებს ვისმე, ადამიანურ ღირ..ს და ზდილობას დაივიწყებსო. ..ლოდ ცოტათ ნასვამი ანუ ..ბუქათ დათრობა მავნებლათ არ ..ა ჩაითვალოსო, ამიტომა რომ ..ვალნი სიმთვრალის დროს ისეთ ..იამოვნო და სანატრელ მდგმო..რობაში იმყოფებიან ხოლმეო, ..მ თითქოს მათ ამ დროს რა..ცა ემატებათ, ღირსების მაგვა.., ბუნებითი ნიჭი და უნარი ..ვიძლებათ ამ დროს და უამი..ე კი ეს ამაღლებითი გამოწვეუ.. გრძნობა ისე დარჩებოდათ .. დამალულ დამარხული. ასე .. შეხედულობა და აზრი ბ-ნ ..ორსკის აზრით წარმოადგენს ..ლოდ შემცდარ დამღუპველ ..ს არევას. მსწავლულთა გამო..ლევით მაგარი სასმელეულობის ..ახებ ამ უკანასკნელ ოცის ..ის განმავლობაში გვარწმუნე.., რომ ლოთობამ თავისის მავ.. დამღუპველი მოქმედებით გა..ჭარბა ყოველგვარ ძველადგან ..ობილ მავნე და საშიშარ სენებ... ახალის ცნობებიდამ მოჰყავს .. სიკორსკის ლოთობის შესახებ ..დეგი მაგალითად, აი ასე გა..ხატება: ა) საზოგადოთ ხალხში ..ლასხვა ავადმყოფობის გახშირე.. ბ) სიკვდილის რიცხვის სიმრავ.. გ) ძალათ თავის მოკვლა და ..ოლოდნელათ უცბათ სიკვდი..ს მატება. დ) საშუათანო ..ოვან ხალხის სიცოცხლის შე..კლება. სიმართლით შენიშნავს ..ი ბერა, რომ მაგარი სასმელე..სმა იქამდის ღრმათ სწამლავს ..მიანის სხეულს და მსხვერპ..თ იწირავს, რომ ეს არც ერთს ..მელსამე ეპიდემიას არ ძალ..ო, ყოველი სენი ხან გა..შვებით და დროებით ისპობა ..ლმეო და მაგარი სასმელეულო..თი ლოთობა მუდმივ სატკივარ..ათ არის გადაქცეულიო. გარ.. ფიზიკურ ვნებათა შედეგისა, ..ოთობისაგან ვნება აღმოაჩინეს ..დევ ზნეობრივ მხრივაც და აი .. უკანასკნელი უფრო საძნელო .. საშიშარი უნდა იყოს ვიდრე ..ველიო: ყველაზე კი უფრო სა..ნლათ მოქმედობს ლოთობა ფსი..ურათ ხალხის ჯანმრთელობაზე, ..მლისაგანაც წარმოსდგება: ა) ..ზაკობის ჩამდენთა რიცხვის სიმ..ვლე; ბ) ზნეობრივათ დაცემა; .. სხვა და სხვა ძარღვების და ფსი..ური ავათმყოფობა, დ) ურთიერთ შორის მრავალგვარ ხასიათების განსხვავება. ლოთობისაგან ზნეობრივათ დაცემა და ყოველ სხვა და სხვა ავაზაკობის ჩამდენთა რიცხვთა სიმრავლე გამოკვლეულია და დამტკიცებული, საიდანაც აშკარათა სჩანს, რომ ლოთობას განსაკუთრებით ერთგვარ ავაზაკურ საქციელზედ აქვს, სახელდობრ კაცის კვლა, დაჭრა-დასახიჩრება, დაზარალება, გარდა ამისა ესეც შენიშნულია, რომ უმეტესი წილი ლოთობის დროს ადამიანი ერთი-ერთმანეთს თავში სცემს ხოლმე განსაკუთრებით. ფსიზელი კაცი ჩხუბის დროს, ანუ მტრისაგან თავში დაცემის დროს ინსტაკტიურათ თავს შეიკავებს და აიცდენს ხოლმე სხვის მოქნეულს თავში დარტყმას, მთვრალი კაცი კი პირ იქით სრულიათ ამის წინააღმდეგ იქცევა ხოლმე ამ დროს. ყოველი ეს ფსიხოლოგიური მაგალითები აშკარათ უჩვენებს ადამიანს, თუ რამდენათ მავნებელი საწამლავია ლოთობა. ამ კითხვის გადასაწყვეტად თუ რაგვარათ მოქმედობს ხალხში ლოთობა შეკრეფილია ბ-ნ ბური'საგან მაგალითად, გერმანიის სახელმწიფო საპყრობილეში ყველა პატიმრებთა შორის 30% მამაკაცია და 61% დედაკაცი და ეს საბუთები გვიჩვენებს თუ რამდონათ ცუდათ მოქმედობს სუსტ სხეულიან დედათა სქესზედ. ფსიხოლოგიურათ რაც შეეხება სხვა-და-სხვა კაცის მკვლელ ავაზაკებთა შორის ნახევარზედ მეტი 55% იყვნენ ლოთობისაგან.

შაქრო ვაჩნაძე

(დასასრული იქნება)

# ვაზის წამლობა*)

**როთი გვიჯობს გუწამლოთ ვაზის ობსა და მავ ჭარს?**

ვუძღვნი ძვირფას მშრომელს და დაუვიწყარ მასწავლებელს ბ. არჩილ დარეჯანაშვილს (Мильдю и блэкротъ) ავტორისაგან.

თეორია მიმკრობლობისა (прилипаніе) აქ ჩვენ შევეხებით ერთ ფრიად საჭირო მოვლენას, რომელიც ახლად გაგვინათლებს ამ დიდ მნიშვნელოვან კითხვას, ე. ი. დაფარვა-გადარჩენის ხანგრძლივობას.

რაც შეიძლება დიდხანს და საიმედო დაფარვა გადარჩენისათვის და ამით თვით წამლობების რიცხვთა შემცირებისათვის საჭიროა, რომ სპილენძის ლურჯი ქანგრი მიკრობილ-დამაგრებულ იყვეს ფოთლებზედ, რამდენადაც კი შესაძლებელია დიდხანს. ამიტომ იგი უნდა იყვეს რამდენადაც კი შესაძლებელია მიმკრობი, (დამკრობი).

როგორც ზემოთ ავხსენით ბორდოული სითხის წინწკლები, რომლებიც ეცემიან ფოთლებზედ, ხმებიან იქ პაწაწინა ფხვიერ ლავაშებად, რომლებიც ძალიან ადვილათ იყრებიან ეპიდერმის ლიპი პირიდგან, რადგანაც მათ იქ არაფერი ამაგრებთ, იმ მიზეზის გამო, რომ ეს ლუფხი არ შეიცავს ხსნილ მარილებს; თუმცა-კი შესაძლებელია ამ სითხის ამ მხრივაც გაუმჯობესება, თუ მას შეერევა ერთი რომელიმე ხსნილი ნივთიერებათაგანი.

შაბიამნის წმინდა და მარტივი ხსნილიც, ხმება რა ფოთლებზედ, იქ ხელმეორედ ბრილდება ე. ი. კრისტალიზდება (кристаллизуется) ძალიან წმინდა თხელ ნაზ ბადეთ, რომლის რგოლები ანუ ფანჯრები იხლართებიან ეპიდერმის სასრუტავ კაპიტალიურ ნაწილებში და იქ აკრობენ სპილენძულ შრეს. მაგრამ თუ ერთი პატარა ღონიერი წვიმა მოჰყვა, ეს სრულიად პაწაწკინტელა კრისტალები მაშინვე იხსნებიან და მთელი სპილენძი ჩამორეცხილ და წაღებულ ხდება.

მხოლოდ-კი თუ სპილენძეული შენაზავ ერთსა და იმავე დროს ორ სიამეს: 1° ხსნილი მარილს, 2° სპილენძის ფშვენოვან ქანგრს მაშინ ეს ორი საგნები შეერთდებიან რა სრულ ჰყოფენ ერთმანეთს (пополняются) და სპილენძის ქანგრი რჩება დამაგრებული უფრო დიდხანს. ამ პატარა კრისტალურ ბადის შემწეობით და გინდაც რომ წვიმებიც დაერთოს ფშვენოვანი ქანგრი ირჩენს და ინახავს ყოველთვის საკმაო ხსნილ ნაწილებს და ახლა სხვა ახალი დაბროლება და კრისტალიზებით იგი ინახავს მიმკრობლობას, საიდგანაც მომდინარეობს გადარჩენაც.

შაბიამან-ნახშირ მჟავ ბორაკის სითხეში ხსნილი ბორაკის ნახშირ მჟავი და გოგირდ მჟავი დაბროლდებიან რა ფოთლებზედ შეადგენენ ერთ გვარ მიკროსკოპიულ კრისალების ბადეს, რომელიც ამაგრებს იქ ფშვენოვან ნახშირ მჟავ სპილენძის. ლურჯ წყალში კი სპილენძის ქანგრის მიმკრობის როლს ასრულებს გოგირდ მჟავი.

თეორია რა უკეთესი სპილენძეულ შენაზავისა ყველა ზემოთქმულის მიხედვით ცხადდება, რომ რომელიმე სპილენძეულის ხსნილი კარგი შემნახავი უნდა შეიცავდეს:

1° სპილენძის ლურჯ ქანგრს ფშვენოვანს, ან უფრო უკეთესი ხსნილს, მაგრამ იძდენად, რამდენიდაც შესაძლებელია ეს ბუნებრივად, რომ ჰქონდეს რაც კი შეიძლება ძლიერი, სწრაფი და უებარი მოქმედება.

2° არ უნდა შეიცავდეს გოგირდ მჟავ მარილებს ისე თუ არა სასტიკად მაგარ მორფით (უხსნელად) და არც ამმონიაკს, რომ დაწვა არ მოხდეს.

3° ერთსა და იმავე დროს უნდა შეიცავდეს როგორც სპილენძის ფშვნილ ქანგრს, აგრეთვე ხსნილ მარილებსაც, რომლებიც დაბროლდებიან დამამაგრებელ ბადეთ ხანგრძლივ უშიშრობის და გადარჩენის დასაზღვებლად. რა შევიტყეთ ყველა ზემოხსენებული პირობები, ახლა გავარჩიოთ და შევისწავლოთ ქანგრის სითხეც.

გ. ლეხურელი

(შემდეგი იქნება)

# სამეურნეო ცნობა

**მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)**

(შემდეგი *)

ნაკერჩხალი (ქართულა იმერული გურული), მეხიკალი (მეგრული), თხკი (სომხური), ლიაშა (ჩერქესული) ამჩა (აფხაზური), ნუშახოხო (ლეკური) პაკლოვუნ, პალევოი კლევონ (რუსული) აცერ კამპესტრე (ლათინური), ოცამდისინ სხვა-და-სხვა ჯურისაა, რომლებიც ერთი ერთმანეთს ერჩევიან, ფოთლების, ყლორტების, ტოტების აგებულობითი, ფერით, დრო ყვავილისა, ფოთლების სიმსხოთი და სხვა. მას არ ეშინიან არც სიცივისა, გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე, მთებში, ტყეში და მინდვრებში; ოღონდ უყვარს ცოტა ნოტიო ადგილები. ეს ხე მითი არის შესანიშნავი, რომ მისი მწვანე ყვავილი ისახება იმავე დროს, რა დროსაც იშლება ისახება ფოთოლი. როგორც მაგრი ხე, მის მასალას მეურნეობაში აქვს დიდი მოთხოვნილება, მეტადრე სადურგლოებში. ცოცხლობს დიდხანს, მრავლდება თესლით გაზაფულობით, და შემოდგომობით.

უთხოვარი, ურთხლი, საჯი, შთახსი (ქართული) ურთხელა, (იმერული), თრთხელი (მეგრული) სჩნი, კენი (სომხური), კიზილ-ალაჯ, (თათრული) ზაზ (ოსური), ნეგნოი, ტის (რუსული), ტაკსუს ბაკკატა (ლათინური). ეს ხე გვარობს მთელ კავკასიაში, მითი შედგება დიდრონი ტყეები, გურიაში, აფხაზეთში, ჩერნომორის ოლქში და ყირიმში, ხე ზამთარ-ზაფხულ მწვანეა როგორც მაგარი და გამძლე ხე, მის მასალას აქვს მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება, მეტადრე სადურგლოებში, როგორც შხოიანი ხე მას ხშირად რგავენ ყვავილნარებში დაბაღებში, მისი ახალი ყლორტები და ფოთლები შხამიანია, რის გამო ცხენებს ძალიან ავნებს

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 801.

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 801.

თუ შეჭამეს ფოთლები და ყლორტები. ხე ცოცხლობს დიდხანს, მრავლდება თესლით და გადაწვენით, გაზაფხულობით და შემოდგომობით; ოღონდ თესლი ამოდის მეორე და მესამე წელიწადში დათესის შემდეგ, თესლიდან ამოსული მცენარეები უნდა დაიჩრდილოს, რადგანაც მზის შუქი ძალიან ავნებს ქორფა მცენარეებს.

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## სასარგებლო ცნობა

### ზნეობა და ჯანმრთელობა

გკ. კეთილმოქმედებისათვის. ოდეს განიხილავ სახმარსა შენსა, ოდეს იფიქრებ ნაკლებობათათვის შენთა, მაშინ მცან ჯ. ძეო კაცისაო, მადლი ღვთისა, შემრაცხველი შენი გონიერად, მომნიჭებელი უნდა ღონისა განცხადებისათვის ფიქრისა შენისა და დამადგინებელი შენი წევრად საზოგადოებისა ურთიერთისა დახმარებისათვის საჭმელითა, სამოსლითა, სიტკბოებითა, ნუგეშითა, სასიამოვნო ცხოვრებითა, და ყოვლითა ამით თანამდებ ხარ შეეწიო მოყვასსა შენსა. ერთობა საზოგადოებისა შესაძლებელ არს ამით ხოლო და არა სხვით რაითმე. და ესრეთ, მოვალე ხარ, რათა იყო მეგობრათ ერისა, თუ გსურს თვით ერი იყოს მეგობარი შენი.

ვითარცა გარდი ბუნებით განუტევებს სასიამოვნოსა სუნსა, აგრეთვე კაცი, მქონელი კეთილისა გულისა გამოირჩევს კეთილს საქმესა უგულებლად.

იგი დატკბების განსვენებითა და მშვიდობით, სულისა თვისისა იხარებს ბედნიერებისათვის მეზობლისა, არა განაჭვამს ყურსა სასმენელად ზრახვისა, და შეცდომილება კაცთა აძლევს მას მიზეზსა მწუხარებისასა.

წადილი მისი არს ასე, რათა ქმნას კეთილი და ამისთვის ეძიებს იგი ღონესა ქმნად კეთილისა და ამით შეწევის თავსა თვისსა.

სივრცესა შინა გონებისა თვისისასა იმყოფს იგი წადილსა ბედნიერებისასა ყოველთა ერთათვის და, მქონებელი სულგრძელობისა სცდილობს შეეწიოს თვითეულსა კაცსა შეძლებისამებრ.

(შემდეგი იქნება)

## რჩეული აზრები

✦ საბრალო და საცოდავი იგია, ვინც მუდმივ დრტვინავს.

✦ მაღალ-სულოვანი კაცი იმას ჰქვიან, ვინც მხოლოდ ღმერთს-ღა მიენდობა.

✦ სხვას ეტადე ნაკლები ელაპარაკო, ხოლოთ თავის თავს-კი ბლომად.

✦ შენ კარგათ იცი თუ რა არის სწორე ხაზი და ლარი, მაგრამ რა გამოვიდა ამ ცოდნიდგან თუ არ იცი რა არის სწორედ ცხოვრება.

### ყურმოკრული საუბარი

— სწორედ ნამდვილი ვარდის თაიგული ხარო, დაცინვით უთხრა ერთმა თავის მეგობარს.

— შენგან არ მიკვირს ვარდს რა მიგავს?

— ისა, ჩემო კარგო, რომ ვით ვარდის კონას შენც გარშემო გეხვევიან მოვალეები.

## წვრილი ამბავი

გამოჩენილი ცნობილი დრამატურღი პალიტონი გარდაცვლილა პარიზში ამ თვის რვასა. პალერონი ფრიად ნიჭიერი მწერალი იყო, მისი მრავალგვარი პიესები თითქმის ყველა ხალხის თეატრებში იდგმებოდა და დღესაც იდგმის. ქართულ სცენაზედაც ორი-ოდე მისი პიესა ერთი „ნაპერწკალი“ და მეორე „მოწყენილობის სამეფოში“. პალიტონი თუ არ სჯობნიდა სარდუს არაფრითაც არ ჩამოუვარდებოდა.

## სხვა-და-სხვა ამბავი

ისპანიელთა მტრობა ამერიკელებისადმი. აი სხვათა შორის რას იუწყება ერთი ინგლისური გაზეთი. ამას წინედ ისპანიაში ჩამოსულა გამოჩენილი მომღერალი ქალი ნევადა შთამომავლობით ამერიკელი. პირველი კონცერტი უნდა გაემართნა მადრიდში. დანიშნულ დღეს თეატრში ფარდა რომ აუხდიათ, თეატრში არც ერთი კაცი არ აღმოჩენილა, ყველა ადგილები ცარიელები იყო თურმე. თითო ოროლა პოლიციელი იჯდა მხოლოდ აქა იქ. მეორე განყოფილების დროს შემოსულან ერთბაშად ორასამდე ქალი და მათ მოჰყოლიან ვაჟ-კაცები. დაუწყია არტისტ ქალს სიმღერა თუ არა, მაშინათვე ისპანელ ქალებს სცენისა თავის ზურგი მიუქცევიათ და ამის შემდეგ ვაჟკაცებსაც სტვენა დაუწყვიათ ისეთი ხმაურობა ავარდნილა, რომ არტისტი ქალი იძულებული გამხდარა კონცერტისათვის თავი დაენებებინა. ეს გარემოება რომ ისპანელს დედოფალს შეუტყვია, ძრიელ სწყენია და მოუწვევია მომღერალი ქალი ნევადა სასახლეში და იქ მახლობელ პირთა შორის გაუმართავს პატარა კონცერტი. დედოფალს დიდად დაუსაჩუქრებია შეურაცყოფილი არტისტი ქალი.

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

20 აპრილი

**პარიზი.** „ფიგარო“-ში დაბეჭდილია დიუ-პატის ჩვენება, რომელიც 2 აპრილს ჩამოართვეს. დიუ-პატის ულაპარაკნია კიუნიეს ჩვენების წინააღმდეგ და უთქვამს, რომ ჩემის უფროსების ბრძანებით ვმოქმედებდიო. გონზმა,— განუცხადებია დიუ-კლამს,— განმიმარტა, საჭიროა ესტერგაზის გადარჩენაო, რათა არ იქმნას გამოწვეული სადიპლომატო მოლაპარაკება, რომელმაც შეიძლება საფრანგეთი ომში ჩაითრიოს. ომისთვის-კი საფრანგეთი მომზადებული არ იყოო.

**ნიცა.** დედოფალი ვიქტორია დღეს უკანვე ინგლისში გაემგზავრა.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოში დელკასემ განაცხადა, ოფიციალურ ცნობებიდგანა მტკიცდება, რომ ის საიდუმლო მოხსენება, რომელსაც რუსეთის ფინანსთა მინისტრს ვიტტეს აწერდა ერთი უცხო ქვეყნელი გაზეთი, არასოდეს არ არსებობდაო.

**პარიზი.** პალატა. სრული ვიდობიანობაა. დეშანელმა წა[…] ხა იმათი სია, ვისაცა ჰსურ[…] ლატას რაიმე საქმის გამო შ[…] თხოს. დიუპუიმ მოითხოვა, […] იმ შეკითხვათა განხილვა, რო[…] ლნიც დრეიფუსის საქმეს შე[…] იან, გადადებულ იქმნა იმ დრო[…] დე, ვიდრე საკასაციო სასამა[…] ლო განაჩენს დაადგენდეს. დიუ[…] ის წინადადება შეწყნარებულ[…] მნა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა [პა]ლატა. ბალფურმა განაცხადა, [რომ] საზოგადო აზრი რუსეთთან და[დე]ბულ პირობისა ის არის, რომ […] თის მხრივ ინგლისმა წინააღმ[დეგ]ობა არ გაუწიოს რუსეთს, თუ უკანასკნელმა მანჯურიაში მო[ინ]დინა რკინის გზების გაყვანა[…] ხელი არ შეუწყოს სხვათ, თუ[…] თაც ეგევე მოიწადინეს; ხო[ლო] მეორეს მხრით, რუსეთი ვალ[დე]ბულია ესევე მოიქცეს ინგლ[ისის] წინაშე, თუ ინგლისმა იან-ძი[…] მოიწადინა რკინის გზების გაყვან[ა].

# განცხადებანი


## КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой [про]мышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебн[ыхъ з]аведеніи**

Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-[хъ] часовъ, по вечерамъ. Начало занятій — 1-е число каждаго мѣся[ца].

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальст[ва].**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ар[иѳме]тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на сче[тахъ], 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) [тор]говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (52[…] дачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ [и у а]втора: Михайловская ул., № 71.** (100 —

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი




## ქეფირი და კუმისი




ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—13) ო. კორონა.